


№ 14 კვირა, 8 ივნისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ“. | ფასი 5 კაპ. № 14



„ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი“—სურათი შვენნინგერისა.

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук
6391

## ვარდი შენშია, თუ შენ ხარ ვარდში.

(ელ. ივან. სკანდ-ას.)

ედემის ბაღში ყვავილთ სამეფოს,
საუკეთესო მოვსტაცე ვარდი,
ციური ნამით დანაპკურებსა,
გულს გადაელო ქმუნვისა დარდი.

—

მოკრძალებითა ოდნავ დავყნოსე,
მისი ნექტარით უცებ დავთვერი,
გამალებული შენსკენ მოვქროდი..
მოვქროდი, როგორც მთისა ეთერი.

—

აქ კი მოვსტყუვდი, რა დაგინახა
შენ დაგემონა და მე გამცვალა,
მან შენს თითებში იწყო ფართხალი.
დასჭკნა, დაფურცლდა, ფერი ეცვალა.

—

კოკორო, ნორჩო, კენტად გაზდილო!
რად გაჩენილხარ ედემის ბაღში?
ეს თაიგული რისგან შესდგება,
ვარდი შენშია, თუ შენ ხარ ვარდში?

ონკანი.

## ფიქრის ნატეხი

ეჰ, კვლავ მეწვიენ მწარე ფიქრები, ეს ხშირი სტუმარი მათგანვე დაჭრილ-დაწყლულებული ჩემი გულისა. ეჰ, ვწვდი კალამს, და მსურს დავხატო იმათი ოდნავ შავი აჩრდილი საქვეყნო რვეულზე, რომ მასშიაც საკმაოდ ამოიკითხოს ხალხმა თავის ცოდვა-მადლი. მსურს ეს სევდით აღსავსე სურათი, იყოს ცხოვრების სარკე, რათა ქვეყნის მახინჯი შვილნი ნათლად სჭვრეტდნენ შიგ თავის მახინჯ თავს.

მაგრამ ვაჰმე, რომ ,,მომაკვდავ აზრსაც არ ძალუძს უკვდავი აზრის დახატვა'' იმ დროს, როდესაც იერემიასებური კვნესა-გოდება ჩემს ცასა სწვდება; მაშინ ვით ჩავწვდე ცხოვრების უფსკრულს, რომ იქიდან ცხოვრების სარკე შევქმნა?!.

* *

ჩვენ ვეძებთ ჭეშმარიტებას, მაგრამ ჩვენვე უარვყოფთ მას, ვინაიდან ,,სიტყვით სხვა ვართ, საქმით სულ სხვა, შუა გვიდევს დიდი საზღვარი''. აი, სად ჰმარხია ძაღლის თავი! ჩვენ ვამზადებთ ლამაზი სიტყვების თაიგულს ხალხში საქადაგებლად, რათა ჩვენმა ლამაზმა სიტყვებმა, ხალხი დააჯეროს ჩვენ გულწრფელობაში და მით ხალხთა შორის სიტყვამან ჩვენმან უკვდავ გვყოს აწდა მარადის უკუნისამდე.

მაგრამ ამავე დროს, ჩუმათ ჩვენ უთხრით ერთი მეორეს საფლავს, ვაცლით ნიადაგს, რათა დღევანდელ ცხოვრებაში კარგი ვსვათ, კარგი ვჭამოთ, ჩავიცვათ და დავიხუროთ, ერთი სიტყვით, შნოიანათ გამოვიჭიმოთ. ამავე დროს იმ ლატაკმა, რომლისთვისაც ჩვენ ვამზადებდით ლამაზ-ლამაზ სიტყვებს, თუ გვერდი გაგვკრა, იგი ვის ჰუმანიურ გულწრფელობაში დარწმუნებულია, ჩვენ წიხლს ვკრავთ და ტალახში გადავისვრით. რათა მისი ძველი ჩოხის ბეწვები ჩვენ ძვირფას ტანსაცმელს არ მოედვას. ვინ ჩავდივართ ამას, ღმერთო ჩემო, ვინ? ნუ თუ ის, ვინც მათ საკეთილდღეოდ სიტყვებს მრავალსა ვხარჯავთ?!

* * *

თუ რომ ქვეყანას ერთხელვე მახინჯი შვილი დაჰბადებია, იგი, საუკუნიდან საუკუნემდე სცოცხლობს და არა კვდება. იუდა, თომა ურწმუნო, ჰეროსტრატე, რენეგატ-მკლავაძენი და სხვები, რომლებიც კაცობრიობას მავნე გზაზე აყენებდნენ — არსებობდნენ ძველათ, არსებობენ დღესაც. მე კი, მე მწარე ფიქრებით შეპყრობილი, გავცქერი ამ დაუსრულებელ ბურუსით მოცულ სივრცეს და ვფიქრობ: სად, სად არის საზღვარი მათი გადაშენებისა?!.

თან იერემიასებრ ვგოდებ, ვგოდებ და მინდა სუსტი კალამით გადმოგცეთ გულში ჩამარხული მსოფლიოს სევდით აღსავსე სურათი. რათა ქვეყნის მახინჯმა შვილებმა იგრძნონ თავიანთი შეცდომები და დაუბრუნდნენ კეთილს გზას.

და როგორც დავხატავ, სევდა ჩემი ქესუმბუქდება, კვლავ შორს გავიცქერ და ტკბილი იმედის მოლოდინში გული ტკბილათ დაიწყებს ძგერას.

ირ. ტოფაძე.

## ,,ლ ა ხ ტ ს''

დაჰკარ, დაჰკარ მაგათ „ლახტი“,
ვინც ღირსია არ დაინდო;
ცხოვრებისა მეტი ბარგი,
ძმის მყიდავი, მოძმეთ უნდო...
პირში არვის მოერიდო,
ეს ადათი და წესია;
ბოლოს კარგსა ის მოიმკის,
ვისაც კარგი უთესია..
კაფე, კაფე ეგ ცხოვრების
მოფენილი ეკალ-ნარი
და ხშირ-ხშირად გაგვაგონე,
ჩაგრულებსა, ხმა ნარნარი.
ბევრი ფიქრობს, შენს გაქრობას,
ბევრს სიკვდილი ენატრება,
მწამს სიმართლე გაიმარჯვებს,
და ბოროტი თვით გაჰქრება.
შენ მოელი რომ მამული
ისევ კვლავაც აყვავდება,
ტირილი რომ ისმის დღესა
ხვალ სიმღერათ შეიცვლება...
მაშ გისურვებ, სულით-გულით
სიცოცხლეს და დღეგრძელობას,
მტრისა მიმართ „ლახტის“ ცხებას,
მოყვრისადმი სულ-გრძელობას...

ს. კულაშელი.

## ,,ე. ნინოშვილი, შემოქმედება''

(დილა-ლექცია)

გაზეთში ვკითხულობ: ,,1 ივლისს თბილისის სახალხო უნივერსიტეტი ჰმართავს დილას ხალხის გულის მესაიდუმლე ძვირფას ე. ნინოშვილის ხსოვნის აღსანიშნავად. დილა დაიწყება შოპენის სამგლოვიარო მარშით, რომელსაც შეასრულებს სიმფონიური ორკესტრი ბ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ მ. წულუკიძე წაიკითხავს ლექციას: ,,ეგ. ნინოშვილის შემოქმედება". ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას იღებენ: გ. ქუჩიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, პ. ირეთელი და სხვები.''

ჰოი, საკვირველებავ! გაბედულებავ! — თავის გამოჩენავ!.. სანამდის მიგყავს ადამიანი!

,,გოგია უიშვილი'', რომლისაგან მან ჩონგური გათალა, ზედ ,,ქრი-

სტინე“-ს თმები სიმებათ გააბა, ტარიელ მკლავაძეს ლეკური ათამაშა, მოძმის ყოველ კუნჭულში შეიჭრა, სულისკვეთებას ფრთა შეასხა, ჭაობში ამოსვრილი გლეხის პერანგი მზეზე გაჰკიდა, შრომა დაუწყო, პალიასტომის ზვირთებში მამა და შვილს სავანე მიუჩინა, მცირიშვილის გულში დანთებულ მუგუზალს თვით ზედ დაეკმია ვით საკმეველი, გლეხის დანგრეულ ქოხის ყურეში პირველმა მერცხალმა ბუდე გააკეთა, შიგ ბარტყები დაზარდა და მათ დაზრდას თავი ზედ დააკლა! პირველმა საძირკველი ჩაუდგა იმ მიმართულებას საქართველოში, რომელსაც მესამე დასი დაერქვა. მაგარი ძარღვების პატრონი უნდა იყო ადამიანი, შუბლზე გამხმარი კამეჩის ტყავი უნდა ჰქონდეს აფარებული, რომ სადაც ძალ-ღონე არ შეგწევს, სადაც შენი ტვინის ნაკარნახევი იმდენად სუსტია, ბლაგვი, უშინაარსო, რომ ოდნავათაც ვერ შესძლებ არა თუ გაშუქებას, იოტის ოდენათაც ზედაპირის გადმოცემას, ხელი მოჰკიდო ისეთი დიდ მნიშვნელოვან ლექციის წაკითხვას, როგორიც არის ,,ე. ნინოშვილის შემოქმედება“.

მ. წულუკიძემ დაიწყო ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფიით, მაგრამ მსმენელი, მარტო ორ სიტყვას ,,ეგ. ნინოშვილს“ ისმენდა და დანარჩენ სიტყვებს ლექტორი ენით ტუჩებზე იტლაკავდა. ერთი და იგივეს განმეორება, ერთი და იგივე სიტყვები, მაგალითად: ,,ეგნატე ნინოშვილი ხალხის შვილია, ეგ. ნინოშვილი ხალხის გულის მესაიდუმლეა“.—ეს არის და ეს მთელი შინაარსი მისი ლექციისა. მან ვერავითარი სადი შეხედულება ვერ მოგვცა ნინოშვილზე ოდნავათაც ვერ გააშუქა ,,ე. ნინოშვილის შემოქმედება“. უმჯობესი იყო, ერთი რომელიმე მოთხრობა ნინოშვილისა წაეკითხა და თვით ერთი მოთხრობა მეტს იტყოდა, და უფრო კარგად გააცნობდა საზოგადოებას, თუ ვინ იყო ე. ნინოშვილი. რაც შეეხება—ლიტერატურულ განყოფილებას, ეს კი ნამდვილი მოტყუება იყო. არა სჩანდა არც ირეთელი და არც ჩხიკვაძე. გ. ქუჩიშვილმა წაიკითხა თავისი ლექსი, მაგრამ ის მის საუკეთესო ლექსების ფერფლს წააგავდა. ს. აბაშელის ლექსი წაიკითხა ვიღაცამ, ერთი გამოსვლისხანს დაიყვირა და მეორე გასვლისხან. რაც შეეხება სიმღერებს სუსტი იყო, სცენა ბულვარად გადაექციათ, აქეთ იქით დარბოდნენ და ერთმანეთში მასლაათობდნენ. გვარიანი იყო სცენები, მაგრამ ამდენ ულამაზო-უშინაარსო მასალებთან უკანასკნელი წვეთს შეადგენდა ზღვაში.

ბ-ბო! ნუ იგდებთ აბუჩად საზოგადოებას, ისეთ საზოგადოებას, რომელიც დღეს დედა ძარღვათ ითვლება, რომელიც ცოცხალ ელემენტებისაგან შესდგება და სადაც სიცოცხლე დუღს და გადადუღს.

ონკანი.

# მოგონება

თუმც ცხოვრებამ ამიძულა,
დავადექ სულ სხვა გზაზედა,
მაგრამ შენ მაინც მახსოვხარ
ვერ გაგცვლი, ვერა სხვაზედა!
ამიტომაც ნუ მივიწყებ,
მომიგონე, მოჰე ხელი,
რომ ჩაგეკრა მაგ გულ-მკერდში
და დავკოცნო სახე, ყელი!!
ისევ დავსხდეთ იმ ხის ძირად,
სადაც წინად გვქონდა ბინა;
ვისაუბროთ იმავ დროზე,
რაც გვეხატვის თვალის წინა...
აღარ გახსოვს, რომ ბულბულმა
იმ ხის ტოტზე მოილხინა;
შემდეგ სადღაც გადაფრინდა
განშორებამ მოგვაწყინა'?!

ა—ტი.

## მოკლე და მარტივი თეორია

ფუტურისტებმა შეჰქმნეს ახალი მართლწერა; ამ საშუალებით შეგიძლიანთ მოწინააღმდეგეს ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ყოველივე ეთიკის გარეშე პასუხი გასცეთ. ხოლო მათი ანბანი, რომ გადმოვაქართულოთ გამოვა ჩვენებური სასვენი ნიშნები და მნიშვნელობა თითეული მათგანის არის შემდეგი:

, – მძიმე. – ენა დაიდუმეთ თქვე ქოფაკებო.

. — წერტილი. — ამ ნიშნით დედმამას შეუკურთხებთ როგორც გნებავთ.

; — წერტილი მძიმე. — ვირო, მ... ნუ თუ არ კმარა!

! — გაკვირვების ნიშანი. — მართლაც საკვირველია: ძაღლებივით ჰყეფავთ, ღორებივით ღრუტუნობთ, კატებივით სჩხავით, ვირებივით ყროყინებთ, დედლებივით კაკანობთ, მამლებივით ჰყივით, ფუტკრებივით ბზუით, ქუთათური გაზეთებივით ლაყბობთ და ჩვენი არაფერი გჯერათ.

? — კითხვის ნიშანი. — შენ კურტნიანო ვირო! კახურ ღორს რომ მიგიგავს დინგი. პასუხს ველით და წამოროშე რამე.

...— სამი წერტილი. — შე. . . . . . . შენ გაჩენას, შერცხვენილი მამიშენისთვის, დალოცვილ ღმერთს, შავი კატა გაეჩინა, ის არა სჯობდა, თაგვებს მაინც დაიჭერდა.

: — ორი წერტილი. — თქვე ზუბრებო, ნაგვის მხვეტავნო, სომხების პლუტოკრატიის ფეხის მლოკავნო, ბატებო, უტვინოებო, მახინჯ კუზიანებო (ამ ორი წერტილის შემდეგ შეგიძლიანთ ჩამოსთვალოთ ყოველივე უწმინდურობა). მაგისთანა პასუხს გერჩია არაფერი წამოგეროშა.

( ) — ფრჩხილები. — ამაში უნდა ჩავსვათ ყოველ ხსენებაზე ჩვენი სათაყვანო მოღვაწეთა სახელები.

ეს ახალი შემუშავებული სიტყვიერების თეორია ძლიერ მოეწონათ ჩვენებურ ,,ინტელიგენციას“ და რამდენიმე ამ მარგალიტი სიტყვების ხმარება უკვე შემოიღეს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. განსაკუთრებით ,,წყეული“ (ფუტურისტული სიტყვაა) გელეიშვილის ლექციის შემდეგ. აგრეთვე როგორც არის მაგალითად: ზუბრები, თეთრი მგლები, სომხების პლუტოკრატის ნეხვის მხვეტავი ფეხის მლოკავი, კუზიანები, მახინჯები, გამოლაყებულნი, უტვინოები და მრავალი სხვები.

ერეკლე.

## შენს თვალებში!

(ექსპრომტათ ნ... ს.)

შენს თვალებში ზღვა იცინის,
შენს თვალებში ღელავს ზვირთი,
შენს თვალებში წამწამთ შუქზე
დასრიალებს ცეცხლის ბურთი...
უშრეტ ვნების თეთრი ფიფქი
შენს თვალებში კრთის... კრთის
ბრწყინავს,
და იმის ელვარებით
დედამიწა შფოთავს, გმინავს.
ცის გუმბათი ლურჯ სვეტებით
დაგისერავს,—გაგიღილავს,
მარიგი და ოტარიდი
გაგიქურდავს... გაგიკილავს!..
შენი თვალი ზევსი არის,
მრისხანებით მძლე სატანა
და ამ ღვთიურ თვალს რომ სჭვრე-
ტდეს—
არის ღირსი ეს ქვეყანა?..
ოჰ, დახუჭე შენი თვალი
ცოდვილ მიწამ, რომ ვერ ნახოს,
მხოლოდ, მხოლოდ შენ მგოსანმა
ის თვის გულში შეინახოს.

ტალღა.

## დედა და შვილი

(სცენა ნაძალადევის ცხოვრებიდან)

**დედა:** ლიზაა! ადექი შვილო, აალაგე ოთახი, კვირა დღეა, დღეს სტუმარი არავინ მოგვივიდეს სირცხვილია.

**ქალი:** ოთახიც ოხრათ დარჩენილა და ოჯახიც.

**დედა:** ხედამთ ამ ახტაჯანას! რა იყო, რა ეშმაკის ცხენზე შემჯდარხარ?

**ქალი:** ის იყო, რომ სირცხვილით ვეღარ გამივლია, ლამის თითით საჩვენებელი შევიქნე, ყველა ჩემზე ლაპარაკობს: მოდაზე არ აცვიაო.

**დედა:** აბა, შვილო, რო სტყუი, შენზე უკეთესათ ვის აცვია? ან და ცოტა გაქს კაბები? რომელიც გსურდეს ის ჩაიცვი.

**ქალი:** აბა რომელ კაბაზე მელაპარაკები? მეფე ერეკლეს დროს შეკერილზე!

**დედა:** კიდევ ახალი ნაცილი გამოგვარდნიათ! რა არის გოგო ეგ თქვენი ახალი მოდა, მითხარი მაინც იმ ოხრათ დასარჩენის სახელი?!.

**ქალი:** გასაკვირველია დედა ჩემო შენი საქმე, მეოცე საუკუნე წინ გიდევს და კიდევ ვერ მიმხვდარხარ ცხოვრებას, აი თუ დიდათ გესიამოვნება, ახალ მოდას ეტყვიან ტანგოს. წინ შეჭრილი, უკან მოსხლეტილი, ფეხებ გამოჩენილი.

**დედა:** მერე, ეგ არის შენი დიდი განათლება და მეოცე უკუნი, რომ რაღაცა მანგოს გულისთვის ოჯახის დიასახლისობაზე ხელს იღებ და გულ ავარდნილი კრუხივით აქეთ-იქით ეფეთები?

**ქალი:** როგორ დედი! შენი ქირიმე გაიმეორე! მეოცე უკუნი ხა.. ხა.., ხა.. ჰო და თუ არ მიყიდი ახალ მოდის ტანისამოსს სახლის საქმეს ყველას აგრე ბოიკოტს გამოუცხადებ....

**დედა:** ეგ ტრიკოდი რაღა ეშმაკი არის? ეგეც განათლების რამეა?..

**ქალი.** მოდი და ნუ გაგეცინება! ადამიანო, ყური დაუგდე რას გელაპარაკებიან და სიტყვა ისრე გაიმეორე ხოლმე, თორემ მეტი აღარ შემიძლიან. წუხელის ბალში ერთ სტუდენტს გავეცანი და პირობა მომცა ცოლათ შეგირთამო. ქაა!.. როგორ უნდა გამოგაჩინო შენი უტაკტიკო სიტყვებით?

**დედა:** თვალი შენც დაგიდგეს და იმ შენს გაცნობილ სუტენტსაც. თუ ჩემი უტრატიტო სიტყვები შეგარცხვენს იმასთან მამიშენის მზისგან დამწვარი კისერი და შრომისაგან დაბეჟილი ხელები სად გინდა გამოაჩინო? მაგრამ ერთი ის გამაგებინე რა არის, ის შენი მანგო?!.

**ქალი:** ტანგოს ეძახიან ყვითელი ფერის კაბას.

**დედა:** მერე მაგისთვის იკლავდი თავსა? ჯანი გაგვარდეს ერთი კაბა არ არის გიჟიდი.

**ქალი:** არა, დედა ჩემო, სულ ერთი ფერისა უნდა იყოს: შლიაპა, კაბა, ჩულქები და ტუფლებიც.

**დედა:** უიმეეე! მაგას ხომ ოცი მანათიც არ ეყოფა?! მერე სად უნდა ვიშოვნო ეს ფული, ჩვენ კი პურის ფულიც არა გვაქ. აგრემც ღმერთი მოსპობს შენს მეოცე უკუნს, მანგოსა და მის მამგონსაც...

ნ. გურჯანელი.



## მესტვირული

ჩემო სტვირო თანამგზავრო,
შენითა მსურს, ვღიღინო,
იმედი მაქვს ძმა ბიჭებთან,
ძველებურათ მომილხინო.
ამ დალოცვილ ქიათურლებს
აეშალათ სალერღელი,
არშიყობა შემოიღეს
უცნაური, ძველის-ძველი.
ქალებს ბწკენენ, ტუჩში კბენენ
გამოლადრეს კბილით ყელი.
ერთს კლასისას სადარბაზოთ
მიეწვიათ ინჟინერი,
მას დალალიც წაჰყოლოდა
უგუნური ჭკუა თხელი.
გადაჰკრეს და შემოსძახეს
ტკბილი მრავალ ჟამიერი.
დიდი ქიქით ადღეგრძელეს
ტურფა ქალი „უჩიტელი“,
სათითაოდ ყმაწვილებმა
სიტყვა უძღვნეს მეტად გრძელი,
თმა ხუჭუჭამ მოახსენა:
„შენ ხარ ჩემი მწველთა-მწველი“.
მეორე დღეს გულ დამტკბარმა
სატრფოს უძღვნა ლექსი მჭრელი:
„შენმა ხსოვნამ გენაცვალე
გულს დამასო ნაპერწკალი,
შემიპყრო და დამიმონა,
მეკიდება ცეცხლის ალი.
იმ დღის შემდეგ აღარა მაქვს
მოსვენება ერთი წამი,
სკოლისაკენ ისქირება

ცრემლით სავსე ჩემი თვალი.
ყურში რაღაც მიფუჩყუნებს,
ეს ხმა არის იდუმალი
და ლანდივით თვალ წინ მიდგას,
იმ ღამდელი ეზოს კვალი.
სული, გული მეხუთება
დღე შემექნა განამწარი,
მომეშველე, გევედრები
მომაპკურე გულზე წყალი“.
ქალმა გასცა მას პასუხი:
„ჩემო კარგო ბიჭიკოო,
რა კარგი ხარ გენაცვალე
ქალიანი არ იყოო!
დამერწმუნე შენთვის მზათ ვარ,
ჭირი შუაზე გაგიყოვო,
მაგრამ ცოლის მეშინიან,
აბა მითხარ რა გიყოო?“
ეს წერილი მომტან ბიჭსა
ცოლისათვის გადაეცა,
გაეხსნა და წაეკითხა
და ხელები თავში ეცა.
საწამლავი დაელია
და უგრძნობლათ ძირს დაეცა.
მთლად შეიძრა მთელი კუთხე,
შეწრუწუნდა არე, მარე,
იმ საწყალი ქალისათვის
დამერწმუნეთ ცრემლი ვღვარე.
ბავშვები კი იძახოდნენ:
„დედი კოლა აქ მომგვარე,
კაცუნები ამ დროს ჩუმად
იცინოდნენ გარე-გარე.
ამის შემდეგ გირჩევთ ხალხო
ქიათურას მიაჩქარეთ
და შვილები ასაღზრდელათ
ასეთ ამღზრდლებს მიაბარეთ.

მოლა.

## დედის ჭირიმე

დედის ჭირიმე დედისა,
ძუძუებს ვენაცვალები,
ის არის ჩვენი მშობელი
მან აგვიხილა თვალები.

პაწაწკინტელა ვიყავით
დედამ აღგვზარდა კაცათა,
მშობლიური გრძნობა დიადი
გულს ჩაგვინერგა განძათა.

დედა გულ-მკერდში გვიკრავდა
ღამეს სტეხავდა ხშირადა,
თავს გვევლებოდა ალერსით
ნანას გვიმღერდა ტკბილადა.

მაშ, ვაშა! იმ ყრმა ჭაბუკსა,
ვინც ასახელოს მშობელი,
ტანჯულ სამშობლოს მიხედოს
არ იქნეს მისი მგმობელი!..

ირაკლი ვაჩნაძე.

## ვკითხე-მითხრა

ღრუბელს ვკითხე, როცა იგი მთის კალთებზე მიესვენა:
—,,ზეცის შვილო, ვინ გასწავლა ეგ ტირილი ცრემლთა დენა?
ვით მე, მწირი,
ვისა სტირი?‘‘

და, რა მითხრა?!—,,ზეცის შვილი, არც ვყოფილვარ, არც ვიქნები!
მიწისა ვარ, მიწის შვილი, მარტო მისთვის ცრემლათ ვდნები'..
ვით შენ, მწირი,
მეც მას ვსტირი!!!

ლადო.



მიხეილ ლელაშვილი.

1895 წლიდან, ქარხნის ხელოსანმა მუშამ, დაიწყო ხალხური ლექსების წერა ჟურ. „ჯეჯილში“ და სხვა დრო-გამოშვებით გამოცემებში ამ ჟამად დაავადმყოფებულია და დიდ გაჭირვებას განიცდის ნივთიერის მხრივ, მაგრამ ყურის მგდებელი კი არავინა ჰყავს და უპატრონოდ მშიერ-მწყურვალი და დაავადებული ღვთის ანაბარად არის მიტოვებული.

## მაინც მოგვდგამს

ერთ საღამოს მედა ჩემმა ამხანაგმა სიკომ ჩემ ნათესავ მელანიასთან შევიარეთ. ჯერ რიგიანათ არც კი მოგვეკალათებინა ოჯახში, რომ თავს მდევარი დამადგა.

— პავლე აქ არის?

— აქ გახლავართ, რა გნებავთ?— მიუგე მე.

— რაღა რა მნებავს, მთელი ქალაქი შემოვირბინე და ძლივს მოგაგენით. ქალბატონს ძალიან საჭირო საქმე აქვს თქვენთან, შემოგეხვეწათ, რომ ჩქარა წამობძანდეთ. აი ბარათიც ინებეთ.

გამოვართვი თუ არა წერილი ყველანი შემომეხვივნენ და წერილში დამიწყეს ცქერა.

ხანი იქით მივატრიალე ბარათი, ხან აქეთ მოვატრიალე, მაგრამ მაინც მისი შინაარსი თითქმის ყველამ გაიგო. დაიწყეს სიცილი, ტაშის ცემა და მაღლა ხტუნვა. მე გაშტერებული შევცქეროდი, არ ვიცოდი რაში იყო საქმე.

აი ბარათში რა ეწერა:

„ბატონო პავლე! თქვენთან ძალიან საჭირო საქმე მაქვს და იმედია დღევანდელ საღამოს მე შემომწირავთ— გელით მოუთმენლად. აბა, იმედია არ გამაცრუებთ. ბოლოს აწერდა: „ელისაბედ“.

ზრდილობა მოითხოვდა—უნდა ვხლებოდი ქ-ნ ელისაბედს, მაგრამ რა უნდოდა, ან რა გაჭირვება ედგა, ვფიცავ მის პურ-მარილს, არ ვიცოდი,—მით უმეტესათ, რომ კარგად არც კი ვიცნობდი; მათ ოჯახში ვყოფილვარ სულ ორჯერ, ისიც ძალათი შემათრიეს ცხელ ხაჭაპურზე.

ჩემს ამხანაგს უთხარი დამიცადე, ეხლავ მოვალ-მეთქი. გავიყოლე ჩემი მდევარი და გაუდექ გზას.

როდესაც ოჯახში შევედი, არა ჩვეულებრივი მომზადება შევნიშნე. შევდგი ფეხი თუ არა, სუფთათ გაშლილი მაგიდა დამიხვდა, ზედ გაკრიალებული სამოვარი ედგათ, დასხმული ჩაიც მზათ გახლდათ, ყველანაირი მურაბები, ხაჭა-პურები,

ხილეულობა, ერთი სიტყვით, ყველ ამერით შეემკოთ. მაგიდასაც თვალსაჩინო ქალები შემოსხდომოდნენ... მეც უცოლო .. ამიშენდი ოჯახი!..

შევედი თუ არა, ყველა ერთბაშად წამოდგა ფეხზე, ვერ მოითმინეს და ერთმანეთს წაუჩურჩულეს: „პავლე, პავლე, ჩხვლიტაძე“. მაგრამ მე ვითომ არც კი გამიგია. უპირველესად სახლის პატრონი მომეგება, ცალი ხელის მაგივრად ორივენი მომაწოდა და ისეთი აჯანჯღარა ჩემი საცოდავი მარჯვენა, რომ მკლავი მეტკინა.

— მიბრძანდით, მობრძანდით, ძვირო სინახავო, ბატონო პავლე,— შემომძახა ელისაბედმაც; ჩამამატარა და ვისაც არ ვიცნობდი, ყველა სათითაოთ გამაცნო, მაგრამ ერთ ქალთან რომ მიმიყვანა, უთხრა: „ესეც ჩვენი პავლე!..“

მე მაშინვე ნეკზე ვიკბინე, მაგრამ მაინც გადავავლე ცოდვილი თვალი და ჩამოვართვი ხელი. ჯერ წამოწითლდა, მერე გაიღიმა და თავი ჩაღუნა.

ეხლა კი მივხვდი რაშიაც იყო საქმე...

როდესაც მაგიდაზე მამიპატიჟეს,— გავეხუმრე ჩემს მასპინძელს:

— ეს რა ამბავია, ქორწილია თუ ნიშნობა?

— რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება თქვენთვის. მიპასუხა მან.

— ხუმრობას თავი დავანებოთ და .. რა საქმე გქონდათ ჩემთან? მიბრძანეთ, ამხანაგი დავტოვე მელანიასთან. სირცხვილია, მელოდება.— უთხარი მე.

— ჯერ ჩაი მიირთვით! ამაღამ ვერსად წახვალთ, ჩვენი სტუმარი ბრძანდებით, ერთი უნდა დაგათროთ. — მიპასუხა ელისაბედმა.

— მერე თქვენც რა კარგი მსმელი მოგინახავთ?! იქნებ თამადათაც დამაყენებთ?—გავეხუმრე მეც, დარჩენაზე კი უარი განვაცხადე.

— მაშ რა კი ასეა, წადით და თქვენს ამხანაგს უთხარით, რომ ამაღამ ვახშმათ ჩვენთანა ხართ დაპატიჟებული, ხოლო გირაო დაგვიტოვეთ და პატიოსანი სიტყვა მოგვეცით, რომ ისევ დაბრუნდებით. წამართვა ვერცხლის სათუთუნე, და სანამ პატიოსანი სიტყვაც არ ჩამომართვა არ გამიშვა.

დაუკარ თავი და გამოველ, მაგრამ ბევრმა ფიქრებმა დაიბუდა ჩემ თავში, ხან ერთი გადამეხარიხებოდა, ხან მეორე, ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი,— მახეს მიგებენ, ქალი უნდა შემრთონ მეთქი, მე კი ცოლის შერთვის დრო არა მქონდა; ჯერ ერთი რომ წინააღმდეგი ვიყავი სხვის გარიგებული ქალის შერთვისა და ისიც მოტყუებით... მეორეც ისა, რომ წინათვე გადაწყვეტილი მქონდა შემერთო სიყვარულით ღარიბი ქალი, რომ არ წეეყვედრებინა ოდესმე თავის მზითევი და ფულები. მე კიდევ ჩემდა საუბედუროთ იმდენი არა მქონდა— ცოლშვილს მოვკიდებოდი, მაშასადამე ჩემი ცოლის შერთვა ყოვლად შეუძლებელი იყო გადავწყვიტე უარი მეთქვა.

მელანიასთან, რომ შეველი, ყველამ ერთხმათ მომაძახეს სიცილით:

— ჰა... ბიჭია თუ გოგო?

— გოგო, გოგო! უპასუხე მე.

ხელ და ხელ უამბე რაშიაც იყო საქე და, როდესაც ვემშვიდებოდი, მელანიამ მითხრა:

— ბიჭო, ის „მაკრო“ რომ გაგაცნეს, შენთვის უნდათ, და რადგანაც შენ წინათვე უარი განაცხადე, იციან შენი უბედური ხასიათი, რომ ღვინოს ჯერ არა სვამ და თუ დალიე რამდენიმე ჭიქა,—კაცი ყურზე ხელს წაგავლებს და საითაც უნდა იქით გიყოფს თავს. აბა, შენ იცი, ღვინო არ დალიო! არ დაგავიწყდეს რაც გითხარ,— ერთი კიდევ მომაძახა და შევიდა სახლში.

მე, რასაკვირველია დაობლებული ამხანაგი სახლში გავისტუმრე და დავბრუნდი ელისაბედისას.

რაღა ბევრი შეგაწყინოთ, ჩაი ხომ ტკბილეულობით გაიხელით, სიმღერები და მხიარულებაც ხომ ბევრი გახლდათ და თვალის სროლაც... ელისაბედის მეტმა ფუსფუსმა ვახშამიც წამოჭიმა მაგიდაზე, მაგრამ ჯერ არა ვსხდებოდით, რადგანაც ელისაბედის ქმარი ნიკოლოზი არსად სჩანდა.

როდესაც ლოდინით თვალები გადაგვედამა, ნიკოლოზმაც კარი შემოაღო და თავის მოტიტვლებული თავი შემოანათა.

— პავლეს ვახლავარ პავლეს!— შემოიძახა კარიდან, რომელსა ჯერ არც კი დაენახა რიგიანათ, მართლა პავლე ვიყავ, თუ პეტრე.

— გახლავარ!—მივაძახე მეც.

ჩვეულებრივ ერთმანეთი მოვიკითხეთ. შემდეგ დავსხედით, ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენ ავ-კარგზედ. ბაასის დროს ნიკოლოზმა ბევრჯერ ამიგდო სიტყვა ბანზე, მაგრამ თქვენი თავი არ მომიკვდეს, ვითომ პავლეს ყურებს არც კი გაუგია რა. ვახშმამდის ასე ვიწვალეთ მე და ნიკოლოზმა.

შემდეგ მან ამოიღო საათი, ჩაიხედა და სთქვა:

— ელისაბედ, რა დაემართათ ამდენხანს? აგერ თორმეტია.

— მოვლენ.—უპასუხა ელისაბედმა,— ჩვენ დავსხდეთ.

— განა კიდევ მოელით ვისმეს?— ვკითხე მე.

— კი, ელისაბედის ნათესავები, მაკროს ძმა და ბიძა ჩამოვიდნენ სოფლიდან, ქალაქში გაიარეს და, არ ვიცი რათ დაიგვიანეს.—მიპასუხა ნიკოლოზმა.

ი. ნაც—ი

(დასასრული იქნება)

# ტანგო

დაიშალა ქალთა კრება,
თვალს განშორდა მოცქრიალე,
მივაძახე სულის კლიტეს
რად მიდიხარ გენაცვალე!
რად მიდიხარ, აქეთ მოდი,
ჩემო ნაზო, ჩემო კარგო;
განა ჩვენ არ მოგვიხდება
ვითამაშოთ ერთათ ტანგო?!

ა. საჩხერელი.

## ხაშურის ამბები

თანამოაზრე ამხანაგებმა ნ. გურულს დაავალეს, რომ ჩამოიაროს ყველა ხაშურის სამიკიტნოები და ანალიზი ვაუკეთოს ღვინოებს, რათა აცნობოს მათ სად უკეთესი ღირსების ღვინოა. ნ. გურულს პირნათლად შეუსრულებია ამხანაგების დავალება და ამ დღეებში დაუსრულებია კიდეც გამოკვლევა. გამოუკვლევია, რომ საუკეთესო ღირსების ღვინო ჰქონია ლენტოს. შემდეგ ამისა ლენტოს დუქანში ქეიფობენ. ნიშნათ პატივის ცემისა ყოველთვის ტოლუმბაშობას მას ულოცავენ; ყოველ სადღეგრძელოზე მოსე „ურას“ გაჰკივის.

—

ცნობილ ვ. ძინძიბაძეს თავისი ერთგული რაზმი შემოეცალა, რადგან ბევრ ტყუილებში დაიჭირეს. ეხლა ადგენს ახალ რაზმს; ჯერ-ჯერობით ჩაწერილა ერთი ექიმი, უფროსი ტეხნიკი და აფთიაქის საწყობის პატრონი.

—

პ. გელეიშვილს განუზრახავს ცნობილი ლექციის წაკითხვა დ. ხაშურში, მაგრამ რადგან სხვა და სხვა მიზეზების გამო თვითონ ვერ მოდის, ამიტომ გადმოუცია რვეული ი. მექვაბიშვილისთვის და დაუვალებია ამ ლექციის წაკითხვა. ი. მექვაბიშვილი აპირებს ამ ლექციის წაკითხვას ტელიაფუსის ბაღში. ბილეთების ფასი 15 მან. 5 მანეთამდე იქნება. ბილეთების დაკვეთა შეიძლება ყაჭეიშვილის წიგნის მაღაზიაში. დასელებს შეუძლიანთ უფასოთ შესვლა. დაწვრილებით აფიშებში იქნება გამოცხადებული.

—

იწვევენ ხაშურის წიგნთსაცავ-სამკითხველოსთვის მეორე გამგეს, რადგან ერთი ვერ ასწრებს წევრებიდგან შემოტანილ საწევრო გადასახადის დავთრებში ჩაწერას. ჯამაგირი თვიურად ხუთი თუმანი ექნება. მსურველთ შეუძლიანთ თხოვნით მიჰმართონ გამგეობას ივლისის თვის დამლევამდე. **ნიორი.**

---

### ს უ რ ვ ი ლ ი!

ოჰ!.. რატომ არ ვარ ყოვლისა
შემძლე, ტალღები ზღვისა?..
რომ ჩაგრულ ერსა, გამოვესარჩლო
მე ყოველთვისა... —
და ბოროტებას, გადავაფარო წყვდიადი ბნელი,
რომ ობოლ-ოხერს გაუქარვო მწარე ნაღველი!..

**პ. ფრანგიშვილი.**

---

## მოწერილი ამბები

**დ. სამტრედია.** ყოველ-კვირა საღამოს აქ იმართება ჭიდაობა: ჭიდაობენ გამოჩენილი „ჩემპიონები“ (ჯიბგირები), ხალხი ბლომად ესწრება და ირთობს თავს, ეს იმ დროს, როდესაც ქართულ წარმოდგენებში ერთს ვერა ნახავთ... კარგი გზა აურჩევიათ, ისემც ღმერთი დააცლით!..

ამ მოკლე ხანში აქ საძირკველს ჩაჰყრიან სახალხო სახლის შენობისას, რომელიც უნდა მოთავდეს 10 წლის განმავლობაში. სიგრძით იქნება 50 არშინი, სიგანით—100 და სიმაღლით—500 საჟენი. შენობა შეიცავს 10 სართულს. 1) სართულში გაიმართება წარმოდგენები, 2) სამკითხველო, 3) კარტ ბაქარის თამაში, 4) ჭიდაობა, 5) არშიყობა, 6) ტანგობია, 7) მუშტი-კრივი, 8) გინების კურსები, 9) კლუბი, ლოტოს თამაში და 10) ალსასრული დაღლილობის შემდეგ სწორეთ, რომ პროგრესის გზაზე დავდგებით სამტრედიელები... **შუ—შუ.**

—

**სატრედია.** აქაურ სამკითხველოში თუ სურს ვისმეს შესვლა, უსათუოდ ქუდი ჯიბეში უნდა ჩაიკეცოს, რადგან ვერც ჩამოსაკიდს და ვერც თავისუფალ ადგილს ვერ იპოვით. ნოქრებმა კარგა ხანია, რაც ბოიკოტი გამოუცხადეს ქართულ ჟურნალ-გაზეთების კითხვას, მიზეზათ ასახელებენ იმას, რომ ჟურნალ-გაზეთებს ჩვენი „ხაზეინები“ არ გვჭდავენო. ამასთან სასტიკ „პროტესტს“ აცხადებენ იმ საერთო დადგენილებაზე, რომ ყველა სავაჭრო დუქნები და მაღაზიები ამ ჟამად იკეტება შვიდ საათიდან. **სათაელი.**

---

### შ ა რ ა დ ა.

ქართულად პირჯვარს მივაწერ,
რუსულად დავაბოლავებ,
ვინც გამექცევა უბნიდან
სომხურად დავამონავებ.

### ზ მ ნ ა

რად სტირი, ფონი აქ არის,
ნუ ბით არ გახვალ? გაგიყვან!
ბლანდინკებს მოვიპატიჟებ
და შენს ოჯახში მივიყვან.

### აკროსტიხი.

**დ**აიდე კლიტე ენაზედ,
**უ**ქმად ატარე დღენია,
**მ**ალ-მალ ოთურმა გადადი,
**ა**ნ მეტი რა დაგრჩენია. **ბირკნელი.**

---

## დ ე პ ე შ ა

**დ. საჩხერე.** ჩვენს კურთხეულ დაბაში რანდევუს ბაქარს ცეცხლი გაუჩნდა. იწვის მთელი ახალ-თაობა, როგორც ყმაწვილები, ისე ქალები; ჯერ-ჯერობით დაიწვა „გრიშკა და თამრიკა“, „ანტოშა“ და „მარიკა“ და ერთიც კენტათ კავალერი „ჟუჩკა“ ქალელი. ზარალი უზომოდ დიდია.

**იძიდანვე.** ფრიად ხელ-საყრელი კავშირი გაიხსნა აქ ვაჟებისა და ქალებისა. ვაჟებმა აღმოაჩინეს ზოგიერთ დედის-ერთა ქალების მამულში დიდათ გამოსაჩენი არა ჩვეულებრივი მადანი; მსურველთ შესაძენათ და საყიდლად ასეთ მადნისა შეუძლიანთ მიჰმართონ ბ-ნ აბრამოვსკის ახლად გახსნილ კანტორაში, სადაც ბუღალტრათ დანიშნულია ვინმე სპრიდონ თერძი, რომელსაც ზედმიწევნით აქვს შესწავლული ასეთი მადნების წეს-რიგი, განსაკუთრებით მ. კ მ. ულლის მამულის მადნისა. **ლაბა.**

---

## გასართობი

— კაცო, ლევანი სად არის, რომ აღარ სჩანს?

— არ ვიცი, რამდენი ხანია თვალითაც აღარ მინახავს.

— განა თქვენსა აღარ დადის? რაზედ შემოიწყრომეთ?

— აბა რა კაცია შენი ლო[illegible]ს! პირველში, ახლად რომ [illegible]ვიცანით

ლ 336
1914 | 2



ერთმანეთი, ჩემს ძაღლსაც კი „თქვენობით“ ელაპარაკებოდა, ერთი კვირის შემდეგ-კი ჩემს ცოლსაც ,,შენობით'' დაუწყო მასლაათი.

## ჰურ-მოპრული საუბარი

— ააა, გამარჯობა კაცო! ძლივს გიცანი, ისე გახვლეპილხარ?! როგორ გაიმეტეთ ის მშვენიერი ულვაშები, რომელიც საუცხოვოდ გამშვენებდათ?—მიმართა ერთმა თავის ნაცნობ ახალგაზრდა პოეტ-მწერალს.

— ეეჰ, ჩემო კარგო, საითაც გავიარე წინ მხვდებოდნენ ჩემი მოყვაღეები: მეწვრიმალე სიმონა, მიკიტანი ქოსა, სახლის პატრონი, პარიკ-მახერი და ყველა ერთხმად მეუბნებოდა:— ნისიას რატომ არ იძლევით, როგორ არა გრცხვენიანთ თქვენი ულვაშებისაო,—ახლა გავიპარსე მთლად და ულვაშებს სირცხვილიც თან გავაყოლე! — მიუგო პოეტ-მწერალმა.

პ—ე.

---

### წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო ,,ოკიშიბა“! თქვენ ერთის კალმის მოსმით შეეცადეთ ჩემი პიროვნება მიწასთან გაგესწორებინათ; სხვა და სხვა ცილის წამებასთან ერთად არ მოერიდეთ და ლიტერატურულ ქოაგას უდასტეთ. ვინც დღევანდელს ჩემს ცხოვრებას არ იცნობს, ცოტა არ იყოს იქნებ დაეჭვდეს კიდეც. ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში, სადაც უნდა დამიმტკიცოთ თქვენგან წამოყენებული ბრალდებები. ჩემის მხრივ მედიატორებად ვასახელებ ვალერიან და ბარნაბ ჭყონიებს. ვადას გაძლევთ დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ერთ კვირას, რომ თქვენც დაასახელოთ თვენის მხრივ მედიატორები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებას ვიტოვებ ღირსეული სახელი გიწოდო.

ლოლია ჭყონია.

—

ბ. რედაქტორო! ,,ლახტის'' მეცამეტე ნომერში მოთავსებულაა გამოცანა სამტრედიიდან ვინმე ,შენც-ქე-იცის'' მიერ. სამწუხაროდ ჩემმა დაუძინებელმა მტრებმა გაავრცელეს ხმა,ვითომც ავტორი იმ გამოცანისა მე ვიყო, რასაც შეუძლიან პატიოსანი ადამიანი ჩამოაშოროს და ჩემდამი საძულველი აღუძრას. გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ იმ გამოცანის ავტორი მე არა ვარ

პატივისცემით ნ. დ. კალანდაძე

ვამოწმებთ, რომ ხსენებული გამოცანა ბ-ნ ნ. დ კალანდაძეს არ ეკუთვნის

რედაქცია.

—

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ ,,გურულის თავგადასავალი'' რომელიც იყო მოთავსებული თქვენს პატივცემულ ჟურნალ ,,ლახტში'' ,,ოკიშიბ''-ის ფსევდონიმით, მე არ მეკუთვნის.

დიმიტრი ჯორბენაძე

ვამოწმებთ, რომ ზემოხსენებული ,,გურულის თავგადასავალი'' არ ეკუთვნის დიმიტრი ჯორბენაძეს. რედაქცია.

### ჩვენი ფოსტა.

**ხეფეხ-ხეულს** თქვენი შარადა მშვენივრად არის გაღექილი, მაგრამ ვერ ვბეჭდავთ იმიტომ, რომ ახსნა არა ჰქონდა დართული. აგვიხსენით და დაგიბეჭდავთ.

**ჭიჭიკოს.** ,,ბერის ოინის'' დასასრული გამოგვიგზავნეთ

---

## ჩვენი ქარაფშუტა ინტელიგენტები



ფული რომ მომცა, ჩინეთში რკინის გზას გავიყვანდი, ინგლისში უნივერსიტეტს ავაშენებდი, ახალ კლუბში „ბალ-მასკარად-კაბარეს“ გავმართავდი. ოსმალეთში [illegible] მხანას გავიჩენდი, ხოლო საქართველოში [illegible] თარ სალანძღავ გაზეთს გამოვცემდი.



ახალო „კლუბო“
შენ ჩემო სულო,
შენსკენ მივილტვი
არ ვარ უვალო.
ფულის წაგება,
კარტის თამაში,
ნანათ ჩამყვება
მე თვით საფლავში.



„კახურო ღვინო
კარდასახულო,
ვარ შენი მსმელი
გინდ იყვე თეთრი,
გინდა წითელი!..

ტფილისი სტამ[illegible] „[illegible]2.“ მუხრანის 1.

რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი.